



საქართველო ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ქ. ვანი, თავისუფლების №65, ინდექსი 1900, E-mail: vanis.gamgeoba@yahoo.com ტელ. 22-25-25

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 20 301

15/04/2015

**ვანის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილების, გარემოსდაცვის და მდგრადი სოფლის
მეურნეობის საკითხების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების; ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის 2015 წლის 23 მარტის №001392 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

შეიქმნას ვანის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილების, გარემოსდაცვის და მდგრადი სოფლის მეურნეობის საკითხების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ირმა ბოლქვაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალური სოფლის მეურნეობის საკითხებში - სამუშაო ჯგუფის მდივანი.
2. ჰამლეტი ნიკოლეიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, კეთილმოწყობისა და ტრანსპორტის განყოფილების უფროსი.
3. ხათუნა ყურაშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
4. სოლომონ ნაფეტვარიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი მოსაკრებლის დარგში.
5. სალომე ფახურიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
6. ილიკო ვაშაყმაძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი.

7. დავით ხარბიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის“ კომისიის წევრი.
8. ივანე კორძაძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს „კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა“ კომისიის წევრი.
9. შალვა ლორთქიფანიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის“ კომისიის წევრი.


სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს:

1. გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების ჩარჩო სამოქმედო გეგმების შექმნა პროექტის „საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია (CCAMGRI)“ ფარგლებში, რომელსაც წარუდგენენ დასამტკიცებლად საკრებულოს.
2. თვითმმართველ ერთეულის ტერიტორიაზე არსებული გარემოსდაცვითი, კლიმატის ცვლილებასთან და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მოძიება და ანალიზი: შესაბამისი პროექტების მიმოხილვა. მათი განხორციელების მონიტორინგი, ამ პროცესში თვითმმართველი ერთეულის ჩართულობა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება.
3. რეკომენდაციის გაწევა საკრებულოსა და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის გადაწყვეტილების მიღებაში სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხებსა და პროექტებზე.

სამუშაო ჯგუფის მდივანმა:

1. ითანამშრომლოს კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე სხვა მუნიციპალიტეტების შესაბამის სამუშაო ჯგუფებთან, დონორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციასთან, შესაბამისი სამინისტროების სხვადასხვა სტრუქტურებთან.
2. აღრიცხოს თვითმმართველ ერთეულში გარემოსდაცვით საკითხებზე მიმდინარე ყველა პროექტი და ინიციატივა, ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას.
3. მოაზრდოს ინფორმაცია, მასალები, ანგარიშები, დოკუმენტები თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული გარემოსდაცვით პრობლემებზე კომისიისა და საკრებულოსათვის განსახილველად და გადაწყვეტილებების მისაღებად.
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია ძმები ნინუების ქ. №1)

ზაზა ხურციძე



ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელი